# ცნობის ფურცელი

დ წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— სამშაბათი, 14 დეკემბერი 1899 წ. № 987.

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის„ და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).
**ტელეფონი № 372** — ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели"—„Моамбе"**


# 1900 წ.

## „მოამბე"
(წლიწადი მეშვიდე)
**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთის ქალაქებში | 13 მ. | 7 მ. | 5 მ. |

## „ცნობის ფურცელი"
(წლიწადი მეხუთე)
**გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| | 1 წლით | 1 თვით |
|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 6 მან. | 75 კაპ. |
| საზღვარ გარეთის ქალაქებში | 7 მან, | 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც ორივე გამოცემას ერთად გამოიწერს შეღავათი მიეცემა**

**ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.**

**გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели".

# ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს,

ბენეფისი

## ელ. ა. ჩერქეზიშვილისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

## ერთი შემთხვევა

სცენები ჩვენის ცხოვრებიდან 3 მოქმედ. თხზ. გ. ჟურულისა.

II

## სამოცი წლის არშიყი

ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქმედ. თხზ. ა. ჩერქეზიშვილისა.

მოთამაშენი: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარელი, ჩერქეზიშვილისა, ლასო აბაშიძე, კარგრეთელი; ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

**დასაწყისი 8 საათზე**

ნ. (5—2) რეჟისორნი **აბაშიძე** და **ა. მესხი**

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ვ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგიო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია.** საქირურგიო და თვალის ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ა. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას—მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

**სამკურნალოს დირექტორი**

**ს. ვ. თოფურია**

Лѣчебница С. В. Топурія, въ Кутаисѣ.


## თეორია და პრაქტიკა ფრანგულის ენისა

გეიდენის ქ, № 6, ქვემო სართული.

**სადილის შემდეგ 5—6 საათზედ.**

იქვე დაქვეითებულ მოსწავლეთა გაბეჯითება.

## მთავრობის განკარგულებანი

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარდგენილებით ხელმწიფე იმპერატორმა ერთ-გულის სამსახურისთვის უბოძა მდაბლი ტფილისის გუბერნიის სახაზინო ტყეების მცველს გლეხს ივანე ვეშაგურს.

გზათა მინისტრის წარდგენილებით ხელმწიფე იმპერატორმა ერთგულის სამსახურისათვის უბოძა წოდება საპატიო მოქალაქისა ამიერკავკასიის რკინის გზაზე მოსამსახურეს, ზუგდიდის მაზრის მცხოვრებს ივანე კვარაცხელიას.

უმაღლესი ბრძანება სამხედრო სამინისტროს:

უმაღლესად ებოძათ: წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი შტაბს-ოფიცერს მე-65 სარეზერვო ბრიგადისას თავ. ნიკ. ბარათაშვილს; წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენი გურიის ოლქის უფროსს სოლომონ ჯავროვს; წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი ჯარო—მუხახის ნაწილის (ზაქათალის მაზრისას) უფროსს ვლად. მანსვეტოვს; წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენი მეორე უაზხსთა დივიზიის უფროსს თავ. ივ. ჯამბაკურიან-ორბელიანს; წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი ართვინის საბოქაულოს მოხელეს ქადეიშვილს, წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი 257-ის ფოთის სარეზერვო პოლკის უმცროს ექიმს კონსტ. მიქაბერიძეს.

უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო უწყების:

უმაღლესად ებოძათ წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენები: ბელიკლიუჩის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის გამგეს თაყაიშვილს და ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეს იორაიშვილს.

—

## ახალი ამბავი

—

✦ ხვალ, 15 დეკემბერს, მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი არ მიიღებს მთხოვნელებს. („კავკაზ").

✦ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუდვია 600 მანეთი კავკასიაში **მეურნეობის მდგომარეობის გამოსაკვლევად.** ფული გადასცეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომელმაც უნდა იკისროს ეს საქმე. გადადებული ფულის მეტი ნაწილი უნდა მოხმარდეს შავი ზღვის პირის გუბერნიის მეურნეობის შესწავლას.

✦ ნატახტრის წყლები, რომლის გამოყვანა განიზრახა ტფილისის გამგეობამ, როგორც სჩანს, თუმცა წმინდა წყაროს წყლად აღიარეს, მაგრამ წყაროს გარდა მიწაში გასული და დაგუბებული წყალიც ბევრია. ამ წყლის ქიმიურად გასასინჯად ზაფხულშივე წამოიღეს იქიდან რამდენიმე ბოთლი წყალი. ანალიზმა მაშინვე ცხადად გამოააშკარავა წყლის უვარგისობა, რადგან შიგ აღმოჩნდა მრავლად ორგანიული ნივთიერებანი, რომელთაც აქვთ თვისება გახრწნისა. ქალაქის გამგეობა არ დასჯერდა ამ ანალიზსს და მოიწადინა წყლის ხელმეორედ გასინჯვა ნოემბერში, როდესაც სიცივის გამო ორგანიული ნივთიერებანი, რაღა თქმა უნდა, ნაკლებად იქმნება. შესაძლებელია, რომ გაუფრთხილებლად საქმის დაწყობამ იმავე განსაცდელში ჩააგდოს ტფილისი, როგორშიაც ახლა არის და 100,000 მანეთიც ტყუილად დაიხარჯოს.

✦ ქართველ მემამულეთა **პარიზის გამოფენის კომიტეტს** მოსვლია პარიზის გამოფენის რუსულ განყოფილების უმთავრეს კომისარისაგან ქაღალდი, რომლითაც იგი თხოულობს, რაც შეიძლება ჩქარა გაუგზავნონ დაწვრილებითი ცნობები შესახებ იმ ნივთებისა და საგნებისა, რომელთა საგამოფენოდ გაგზავნის განზრახვა აქვს ზემოხსენებულ კომიტეტს. კომიტეტი თავის მხრივ სთხოვს იმ პი-

რებს, რომელთაც საჭირო ცნობები და ნაწარმოები ჯერ არ გამოუგზავნიათ, დააჩქარონ მათი გამოგზავნა შემდეგი ადრესით: სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლი, ზემო სართული, № 116.

✦ საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო, რომ დ. ხონის მარიამის საქალებო სასწავლებელში შემოღებული იქმნეს **ქართული ენის სწავლება.** სასწავლებელი გაიხსნა დ. ხონში წელს და ამ ჟამად სწავლა სწარმოებს მხოლოდ სამს დაწყებითი განყოფილებში და ორს პროგიმნაზიულ კლასებში. ჯერ-ჯერობით მოსწავლეთა რიცხვი სასწავლებელში 220-მდეა. მოსამზადებელ კლასებში სასწავლო ფული 12 მანეთია, უფროსს კლასებში კი 18 მან.

✦ გუშინ, 13 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო **გაზეთის „კვალის“ და მისი რედაქტორის საქმე**. უკანასკნელი ბრალსა სდებდა ბ. გუნიას, რომ მან თავის გაზეთში ცილი შემწამა, ვითომ მე მოსყიდული ვიყავი და იმიტომ ვსწერდი წინააღმდეგ თ. ილია ჭავჭავაძის სტატიებისა სომხების შესახებ. ეს საქმე სასამართლოს არ გადაუწყვეტია, რადგან ორივე მხარეთა ვექილებმა: ბ. გუნიასი— გ. ბ. გვაზავამ და ბ. კეზელისა— ი. მ. ახუმოვმა მორიგებით გაათავეს საქმე.

✦ პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს, ბ. კოვალევს შეუდგენია **საადრესო სტოლისა და მეეზოვეთა ინსტიტუტის** დაწესების პროექტი ð წარუდგენია გუბერნატორისათვის. გუბერნატორს გაუგზავნია ეს პროექტი ქალაქის გამგეობისათვის საბჭოში წარსადგენად და თან დაურთავს, რომ სააფრესო სტოლის და მეეზოვეთა ინსტიტუტის შემოღება ტფილისში არა თუ სასურველი, აუცილებელი არის ქალაქში რიგიანობისა და წესიერების დაცვისათვისო.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს გამოუგზავნია კომმისია კავკასიაში ჭაობების გაშრობის საქმის გამოსარკვევად და მდ. არაქსის იმ ნაპირების შესასწავლად, რომელთა მორწყვას და დასახლებას ჰფიქრობენ.

✦ კვირა დღეს, შუადღის შემდეგ, როდესაც ერთი ბოზარჯიანცთაგანი რაღაცა საქმისათვის მივიდა თავის თამბაქოს მაღაზიაში, რომელიც კვირაობით დაკეტილია, ნახა, რომ ქურდებს აუყრიათ იატაკი, გაუტეხიათ რკინის კასსა და წაუღიათ რაც კი შიგ იყო. ბოზარჯიანცის სიტყვით—შიგ იყო 6,000 მან. ფული და ოქროსა და ბრინჯაოს მენდლები. საღამოზე მოვიდა პროკურორი და გამომძიებელი, რომელნიც პოლიციის თანადასწრებით შეუდგნენ საქმის გამოძიებას. როგორც სჩანს, ქურდები დილით ადრიანად შესულან ამაღლების ქუჩიდან, უსარგებლიათ კვირა დღის ხმაურობით და უთხრიათ მანამ მაღაზიის იატაკს აჰყრიდნენ. მაღაზიის კარებს პატარა სადარაჯო ფანჯარა აქვს. ქურდებს მოუფიქრიათ, რომ აქედან შეიძლება დაგვინახოს ვინმემაო, ამისათვის წინადვე გადაუწყვეტიათ ცნობის მოყვარეთა თვალების ახვევა. ამისათვის მიუტანიათ შავი მარლე და კარის ფანჯრიდან სამ ნაბიჯზე მოშორებით ჩამოუფარებიათ იგი, ასე რომ გარედან შემხედი დაინახავდა მხოლოდ შავს სივრცეს. ქურდებს იქ დაუნარჩუნებიათ ინგლისური იარაღი, რომლითაც გაუტეხიათ კასსა.

✦ გამოვიდა და ისყიდება ჩვენთვის საინტერესო წიგნი პროფესორის კულაკოვსკისა „ალანები კლასიკურ და ბიზანტიელ მწერალთა ცნობებით“.(რუსულად) ფასი 75 კაპ., ბარონ დე-ბაის თხზულება—კავკასიის ქედის სამხრეთით, (ფრანგულად) ფასი 90 კაპ.; მერვე და მეცხრე წიგნში რუსულ ჟურნალისა „ჟიზნ“ დაბეჭდილია „ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება“ ქ-ნ ეკატერინე გაბაშვილის თხზულებათა მიხედვით ალ. ხახანაშვილისა.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოფლის ექიმად **დრანდაში** (სოხუმის ოლქი) დაუნიშნავთ ბ-ნი **ექ. გაშაკიძე,** რომელიც მანამდე სოფ. ქედაში (ქვედა-აჭარა) იყო ექიმად.

✦ ჩვენ გვატყობინებენ სიღნაღიდან, რომ მთელი ხუთი დღე განუწყვეტლივ თოვს. თოვლი არშინზე მოსულა. ბევრი სახლის სახურავები დაუნგრევია. გზები შეკრულია. ქალაქში ხორაგეულობა გაძვირებულია, 8—9 ს პური ვერ უშოვიათ.

✦ სამუშაოს სიძვირის გამო მექანიური ქარხნების პატრონები ბაქოში ნახევრამდე ამცირებენ მუშების რიცხვს.

✦ როგორც იწერებიან, ჩვენში ყოველგან დიდი ზამთარია; გურიაში, მაგალითად, არშინზე დიდი თოვლია; ოზურგეთსა და ნატანებს შუა მარხილებით დადიან. მისვლა-მოსვლა სოფლებს შუა შეწყდა. გახშირდა ავადმყოფობა და სიკვდილი.

✦ წელს, ე. ი. 1899 წ., მომავალის წლისთვის, ქართულს ენაზე აღიბეჭდნენ შემდეგი კალენდრები: ტფილისის კედლის კალენდარი, გამოცემა გრ. ჩარკვიანისა, ჯიბის კალენდარი ს. მდივანოვისა. ბათომს: ჯიბის კალენდარი და კედლის კალენდარი, კ. თავართქილაძისა და ქუთაისს: სახალხო კალენდარი, გამოცემა „გლეხისა“ და „ამხანაგი, ანუ უბის წიგნი კალენდრით“, იმავ „გლეხის“ ამხანაგობის გამოცემა.

✦ წრევანდელი **დიდი ზამთარისთანა** ერთი 1885 წ. იყო, მეორე 1890 წ. და მესამეც წელს. რამდენადაც გვახსოვს, უფრო დიდი პირველი იყო, მტკვარზე ყინული მაისამდის დარჩა.

მაშინ ტფილისის ღარიბ-ღატაკთ იმ დროის მთავარ-მართებლის ბრძანებით საჩუქრათ შეშა და ნახშირიც ურიგდებოდათ. მტკვარი ისე გაყინა, რომ წყლის ამოღება არსაიდან არ შეიძლებოდა, თულუხი წყალი 25 კაპ. ფასობდა. მადლობა ღმერთს, რომ ასეთი ზამთარი წელს არ არის. უეჭველია, მერმის ზაფხულს ყინულიც იაფი იქმნება და მეყინულეებიც სუფთა ყინულს შეინახვენ და არა ნაგვიანს და ბინძურს, რასაც ხშირად უყინულობის გამო მტკვრის ცუდს ადგილებს სჭრიან. კარგი იქმნება, რომ ყინულის მოჭრა შუაგულ ტფილისის მტკვრის ნაპირებზე აღეკრძალოთ და ქალაქ გარეთ დაენიშნოთ, თორემ ქალაქის მტკვრის ნაპირები საყოველთაოდ ზამთარ-ზაფხულ ათასნაირის უწმინდურებით არის სავსე. თუკი მტკვრის წყალს ტფილისში არავინა სვამს და ბინძურად სთვლიან, მართლაც ბინძურს, აქედან ყინულის მოჭრა რაღა უნდა იყოს.

ზ.

✦ ყველას ვურჩევთ, ვისაც ჩვენს ქვეყანაში მადნების ძებნა უნდა, შეიძინოს შემდეგი წიგნები: „изслѣдованіе грунта и развѣдка палезныхъ ископаемыхъ посредствомъ ручного буренія, горнаго инженера С. Войслава. IV изданіе. ფასი 2 მანეთი.

✦ რედაქციას მოუვიდა ახალი წიგნაკი—„პრაქტიკული დარიგება აბრეშუმის ჭიის მოვლისათვის“, შედგენილი კურნალის-მიერ და გამოცემული ვანო არდიშვილისა. ღირს ერთი შაური.

✦ ღერბის ქაღალდის ხმარებას რუსეთში შეუსრულდა 200 წელიწადი. ღერბის გადასახადი შემოღებულ იქმნა პეტრე დიდის დროს კურბატოვისა და შერემეტიევის წინადადებით.

✦ რედაქციას მოუვიდა [illegible] მღ. ს. ქლიოზიშვილისაგან [illegible] ველ სტუდენტების სასარ[illegible] ფული დანიშნულებისამებრ [illegible] ნება.

# თეატრი

სიღნაღში სცენის მოყვარულთ 5 დეკემბერს გამართეს წარმოდგენა ამ შემოდგომაზე ცეცხლით დაზარალებულ ვაჩნაძის ოჯახის სასარგებლოდ. ბილეთებიც იაფი იყო, 1.50-დან 50 კაპ, და ეგონათ ამ ფრიად სიმპატიურ მიზნით მაინც მოიყრიდა ხალხი თავს, თითონაც ისიამოვნებდნენ და ცოტა რამ დახმარებას დაზიანებულ ოჯახსაც აღმოუჩენდენ. სცენის მოყვარულნი ძალიან სცდილობდნენ რიგიანის ასრულებით საზოგადოებასთან პირნათლად გამოსულიყვნენ და ძალიან კარგათაც შეასრულეს მოვალეობა, ითამაშეს რუსულათ ხუმრობა ერთ მოქმედებათ „Весь домъ вверхъ дномъ“ და ვოდევილი Въ Свидѣтели попалъ“. პირველს კიდევ ეტყობოდა სიღნაღელობა, მხოლოდ მეორე ვოდევილში ნამდვილი არტისტიული ნიჭით შეასრულეს როლები: ქ.ქ. ბაქრაძისამ, სტეკლოვისამ, ბ. ჩუბკოვმა და ვასილიევმა. კარგები იყვნენ აგრეთვე პოზნიაკი, ქ. ტეროჰანეზოვისა და ბ. მათეშვილი. დამსწრენი დიდის ტაშის ცემით და სიცილით ეგებებოდნენ მოთამაშეთ. მოთამაშეთ სვინდისიერათ შეასრულეს მაგრამ, მაგარი ის გახლავთ, რომ სულ 30 სული დაესწრო. ამ წარმოდგენაზე არ დაესწრნენ არც მოქალაქენი, არც მოხელენი და არც მასწავლებელნი ქალნი. შესანიშნავი და საგულისხმიერო კიდევ ის იყო ამ წარმოდგენისა, რომ აფიშაში თუმცა გამოცხადებული იყო წარმოდგენის შემდეგ ცეკვა მაგრამ დარბაზში ხმა გაისმა: ცეკვა კლუბის მამასახლისთა დადგენილების ძალით შეუძლიანთ უფასოთ მარტო კლუბის წევრებთა (წევრები-კი არავინ გახლდნენ) პირველად ეს დანარჩენთ არა წევრთა ვერ გაიგეს ;მერე კი გამოჩნდა რომ არა წევრთა დათხოვნა გახლავთო და ამ უკანასკნელთ მიაშურეს კიდევაც შინისკენ. დარბაზი რომ ცარიელდებოდა, მხოლოდ მაშინღა იგრძნეს შემთხვევით დამსწრე მამასახლისებმა რომ ეს წესი არც იმათთვის ყოფილა სასარგებლო და არც დამსწრესთვის. ამიტომ სთხოვეს, ოღონდ დარჩით და მაგ წესსაც მოშლითო, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი.

დამსწრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარევი

—

✦ გერმანელ გამომცემელთა გაზეთ ში გამოანგარიშებულია რიცხვითი დამოკიდებულება სხვა და სხვა ქვეყანაში მკითხველსა და წიგნის რაოდენობის შორის. ამ ანგარიშიდანა სჩანს, რომ შვეიცარიაში წლიწადში 3000 სულზედ გამოდის ერთი წიგნი, გერმანიაში—3200-ზედ, ისპანიაში—3300-ზედ, საფრანგეთში—3500-ზედ, ინგლისში (ახალშენებიანურთ) 6500-ზედ და ამერიკაში—12400 სულზედ. რუსეთის შესახებ ცნობები მოყვანილი არ არის.

✦ რუმინიის დედოფალს ელისაბედს, რომელსაც მწერლობაში კარმენ სილვად იცნობენ და რომლის რამდენიმე მოთხრობა ქართულადაც არის ნათარგმნი, ახლა დრამატიულ ასპარეზზედ მოუწადინებია თავისი ნიჭის სინჯვა: მის ორ მოქმედებიან პიესას „ერთი წვეთი ჩუსტისთვის“ ამ ცოტა ხანში ითამაშებენ დრეზდენში და ვენაში გერმანულად და პარიზში ფრანგულად,

—

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ბიულლოვის დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშვნელად 12 დეკემბერს გამართულ იქმნა სადღესასწაულო კრება.

12 დეკემბერს ინჟენერთა ციხის მანეჟში, დიდებულთა თანადასწრებით, ფინლიანდიის პოლკს და ლიტოვის პოლკის ერთ რაზმს გაუმართეს სადღესასწაულო პარადი.

**მოსკოვი.** დღეს მოსკოველ სტუდენტთა დამხმარებელმა საზოგადოებამ იდღესასწაულა თავისი 25 წლის არსებობა. დღესასწაულს დაესწრ სხვათა შორის ი. პ. ბაზანოვისაც, რომელსაც სხვა და სხვა დროს შეუწირავს საზოგადოებისთვის 150 ათასი მანეთი. ხოლო მის ქალს ვ. პ. კელხს 100 ათასი მან.; მოუვიდათ მილოცვა სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან. განსაკუთრებით ალტაცება გამოიწვია ქ. ბაზანოვისამ, რომელსაც სტუდენტებმა ადრესიც მიართვეს.

**ნოვოროსიისკი.** ქალაქს განსაცდელი მოელის თოელის წყლისაგან. ზღვის ნაპირის სახლებს ერთი საჟენის სისქე ყინული აკრავს. გუბერნატორმა წინადადება მისცა საბჭოს მიიღოს განსაკუთრებული ზომები მოსალოდნილ უბედურებათა ასაშორებლად. ქალაქი გაუნათებელი რჩება. განუწყვეტელი ცეცხლის ნთების გამო შენობებს ხშირად ცეცხლი ეკიდება. დაზიანდა სავაჟო გიმნაზია. ერთი გაიყინა. ამ გვარი ზამთარი არ ახსოვთ 1842 წლის შემდეგ; ტელეგრაფი ეხლა მოქმედობს.

**ბერლინი**, უმაღლესს რესკრიპტს ფინანსთა მინისტრის ვიტტეს სახელზე დიდ ყურადღებას აქცევს პრესსა და საზოგადოება. პოლიტიკურ და ფინანსიურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აწერენ ამ აქტს: იგი არა თუ თვალსაჩინოდ ხდის მეფის შეურყეველ ნდობას რუსეთის საფინანსო პოლიტიკის შნსანიშნავ ხელმძღვანელისადმი, არამედ იგი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ მეფის შეურყეველი სურვილია, მისცეს მუდმივი ხასიათი ფულის ბაზრიან სისტემას. აქ იმ აზრისანი არიან, რომ, რადგანაც ევროპის ფულის ბაზარი ეხლა სიმტკიცეს მოკლებულია, უმაღლესი რესკრიპტი რუსეთის გარეც იქონიებს ზედგავლენასო.

**მალტა.** კიტჩენერი მოვიდა აქ და დაუყოვნებლივ გიბრალტაში წავიდა.

**ლორენცო-მარკეზე.** 6 დეკემბერი. პრეტორიაში მყოფ ინგლისის ქვეშევრდომებმა, რომელთაც სურთ შემდეგისთვისაც აქ დარჩნენ, ახალი ნება-რთვა უნდა აიღონ მართებლობისაგან.

**კალკუტა.** გადაწყვეტილია, გაგზავნონ სამხრეთ-აფრიკაში მე-15-ე ულანის პოლკი.

დრ. რედაქტ. **ალ. ჭყონია.**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —$7^1/_2$ კ. |
| სუკი . . . . | 1 „ | —12 კ. |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 კ. |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 კ. |
| „ ღორისა . . | „ „ | — 5 კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. | 1 „ | — 9 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | $3^1/_2$ |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ | 5 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | $3^1/_2$ „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

—

**ტფილისის ბაზრები**

| გაიყიდა: | | მეიდნებზე | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 30 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 90 | — | 77 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 75 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 30 | — | — |
| „ ურო მდარე | 1 | 1 | 20 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 45 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | — | 40კ. | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შემა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ, შემა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი თათრული 5 მ.-დამ 5 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 5 მ.-დამ 6 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 26 მ.-დამ 36 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, —მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 35 კამეჩი შესაბმელი —

—

**რუსეთის ბაზრები**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | | ხარისხი. | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 | კ. | № 4—7 | ,, 25 | ,, |
| № 1—8 | ,, 50 | ,, | № 5—7 | ,, — | ,, |
| № 2—8 | ,, — | ,, | № 6—6 | ,, 75 | ,, |
| № 3—7 | ,, 50 | ,, | № 7—6 | ,, 50 | ,, |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 მ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
,, ფშხვნილი ,, 4 ,, 80 ,,

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ—4 მ. 50 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60-მდე.

—

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი სიერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში - 60 მ. თვ.

—

**ქალაქის სამკურნალო**, მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

—

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

—

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

—

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

—

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

—

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის**, უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

—

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის სა ავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

—

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

—

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

—

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 9 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ.. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ., 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5. 08 წ. მეორე დილის 11. 48 წ. მესამე დღის 4. 40 წ. მეოთხე საღამოს 10. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულაში გადის ღამის 6 ს. 50. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ. ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისსა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხ უ თ ს ა ჯ დ ო მ ი ა ნ ი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადისსაღამოს 7 ს. 30 წ. და ე ქ ვ ს ს ა ჯ დ ო მ ი ა ნ ი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკაზში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 წ. ს. 30

# „ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1900 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

**ფ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.

**შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის:**

ვინც გაზეთს ამ თავითვე მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლია წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

**გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:**

ტფილისი, „ივერიის“ რედაქცია, ნიკოლოოზის ქ., № 21. და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქ., ქართველთ თავად-აზნაურთა ქარვასლა.

ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირდაპირ.

**ფ ა ს ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ა:**

მეოთხე გვერდზე თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ..

ტფილისს გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА.“

ტელეფონი № 227.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

# განცხადებანი

საუკეთესოდ მოწყობილი

## სტამბა

წიგნების გამოცმ. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

ამ დღეებში დაურიგდება «ცნობის ფურცლის» ხელის მომწერთ

## შიო არაგვისპირელის ნაწერები

პირველი წიგნი. ფ. 103—

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ, ერთიდან—სამ თაბახამდე.

იმავე პროგრამით როგორც 1899 წელს.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან „კვალს“ მიემატება ახალი განყოფილებები, რისთვისაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა სარედაქციო წრე.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით. ნახევარი წლით გაუგზავნელას 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банк № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5, კორშუსის სახლ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „КВАЛИ“.

Подписка на 1900 годъ.

# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

съ будущаго года будетъ выходить въ увеличенномъ форматѣ по слѣдующей, утвержденной правительствомъ, программѣ: **I. Приказы по военному и гражданскому управленіямъ Кавказа и Закавкзлья. II. Статьи по внутреннимъ вопросамъ. III. Обозрѣніе иностранной политической жизни. IV. Научно-литературный отдѣлъ. V. Общая хроника: внутренная и иностранная. VI. Библіографія. VII. Мѣстный отдѣлъ и корреспонденціи. VIII. Обширный справочный отдѣлъ.**

**Иллюстрированныя прибавленія** къ газетѣ, посвященныя кавказовѣдѣнію и матеріаламъ исторіи Кавказа въ связи съ постепеннымъ развитіемъ въ краѣ гражданскихъ учрежденій, будутъ выходить попрежнему, не менѣе двѣнадцати номеровъ въ годъ,

Впредь до полученія заказанной бумаги увеличеннаго размѣра, газета будетъ выходить въ настоящемъ форматѣ, но съ вкладными листами.

По понедѣльникамъ и послѣпраздничнымъ днямъ подписчикамъ будутъ разсылаться телеграммы.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА ОСТАЕТСЯ БЕЗЪ ИЗМѢНЕНІЯ, А ИМЕННО:**

**ВЪ ТИФЛИСѢ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| На годъ. | 5 р. — | На 3 мѣсяца. | 1 р. 75 к. |
| „ 6 мѣсяц. | 3 р. — | „ 1 „ | — 75 к. |

**ИНОГОРОДНЫМЪ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| На годъ . | 7 р. — „ | На 2 мѣсяца . | 2 р. — |
| „ 6 мѣсяц. | 3 р. 50 к. | „ 1 „ . | 1 р. — |

Подписка принимается исключительно въ конторѣ изданія: Тифлисъ, Головинскій, № 3.

ზ. 3—1

გამომცემელი გიორგ. ჟურულ.